



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 575  
21/03/2018

ქალაქი ბათუმი

575-05-4-201803211900



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს შექმნის შესახებ

დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების შემდგომი დახვეწისა და ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების მე-16 მუხლის თანახმად, **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) მალხაზ სალვარიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) იოსებ ბოლქვაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;

დ) ტარიელ ნაკაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ე) ზეინაზ კაკაბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი;

ვ) ანა ბაქაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი;

ზ) გიორგი ქურიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი;

თ) რეზო ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების უფროსი - საბჭოს წევრი;

ი) გიორგი ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - საბჭოს მდივანი;

2. საბჭოს საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საბჭოს აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნონა ქოქოლაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი;

ბ) თამილა ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

3. კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინოს საბჭოს დებულება, რომელშიც განსაზღვრული იქნება საბჭოს ფუნქცია და უფლება-მოვალეობები;

4. საბჭოს კომპეტენციათა სფეროს შესაძლებელია განეკუთვნებოდეს:

ა) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისთვის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებში რეგულარული მოხსენებების მომზადება და კონსულტაციების გაწევა;

ბ) სპეციალური ზონალური შეთანხმებისათვის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების პროექტის მომზადება;

გ) დასახლებათა ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხების თაობაზე წინადადებების, შენიშვნების და საჩივრების განხილვა;

დ) მშენებლობითი დოკუმენტების გეგმარებითი დავალებების გაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებათა მომზადება;

ე) მიწათსარგებლობის უფლებრივი ზონირების რუკების დამტკიცებისათვის საკრებულოების გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად;

ვ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ან მათი ნაწილების დამტკიცების თაობაზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებების და/ან დასკვნების პროექტების მომზადება;

5. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა